ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი N12 „23" აგვისტო2019 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ხვიჩა ცხვიტარია.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები-დავით კვიციანი, ოლეგი ნაჭყებია, თამარ თოფურია.

მოისმინეს:ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

დღის წესრიგი:

1. **ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტის**„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის",არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრის" რეორგანიზაციაზე (გაერთიანებაზე) და რეორგანიზაციის (გაერთიანების) საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალურიდა მუნიციპალური მომსახურების ცენტრის დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ"**თაობაზე.**
   /მომხს: ხვიჩა ცხვიტარია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: დავით კვიციანმა, ოლეგი ნაჭყებიამ, თამარ თოფურიამ.
დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -----4 წინააღმდეგი ----- 0

მოისმინეს:

ინფორმაცია **ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტის** „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრის" რეორგანიზაციაზე (გაერთიანებაზე) და რეორგანიზაციის (გაერთიანების) საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალურიდა მუნიციპალური მომსახურების ცენტრის დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" **თაობაზე.**

დაადგინეს:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საკრებულოს განკარგულების პროექტის არსებითად შესწავლასთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ეთხოვოს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-40 მუხლის შესაბამისად, შემჭიდროვებულ ვადებში-2019 წლის 27 აგვისტომდე წარმოადგინის, ზემოხსენებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების არსებული საშტატო ნუსხა (თანამდებობრივი სარგოს მითითებით) და რეორგანიზაციის შემდეგ დასამტკიცებელი საშტატო ნუსხა(თანამდებობრივი სარგოს მითითებით).
2. ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინოს წერილის პროექტი.

მომხრე ----- 4 **წინააღმდეგი ----- 0.**

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა

და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ხვიჩა ცხვიტარია**